ბრძანება:**ბ20.202209621**

თარიღი:**06/04/2022**

გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის მთავარი კოორდინატორის განსაზღვრის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 მარტის N13 დადგენილებით დამტკიცდა გორის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების წესი, რომლის თანახმადაც სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელებას კოორდინაციას უწევს გორის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დანიშნული მთავარი კოორდინატორი. ზემოაღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელების მიზნით საჭიროა განისაზღვროს სამოქალაქო ბიუჯეტის მთავარი კოორდინატორი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის , "გორის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 მარტის N13 დადგენილების საფუძველზე , **ვბრძანებ**:

1. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 მარტის N13 დადგენილებით დამტკიცებული "გორის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების წესით" გათვალისწინებულ მთავარი კოორდინატორად, ამავე დადგენილებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების განხორციელების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სამოქალაქო ბიუჯეტისათვის , განისაზღვროს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს" მთავარ სპეციალისტი ნინო გოლოშვილი (პ/ნ 59001045313).

2.ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი , ქ. გორი , სერგო ჯორბენაძის ქ. N30)

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი